



საგოლითიკო სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაბიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 33

აგვისტო 13 1900

№ 33

გაზეთის ფასი: ერთი წლით გაუგზავ. 7 მან., გაგზავნილით 8 მან. ნახევარი წლით გაუგზ. 3 მან. 50 კაპ., გაგზ. 4 მან. სამი თვით გაუგზ. 2 მან., გაგზ. 2 მან. 50 კაპ., თითო ნომერი სამ შაურათ.

ხელის-მოწერა მაილება: თფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая, д. зем. банка № 101) და თვით „ქვალის“ რედაქციაში არტილერიის ქუჩა, № 5. თფილისის ადრესი: Тифлисъ. Редакция „Квали“.

შინაარსი: ოზურგეთის თვით-მნართველობა ფ. მახარაძისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—ომის ამბები.—„კვალი“—ს კორესპონდენცია —† ვილჰელმ ლიბკნეხტი ლ. ახ—შვილისა.—ნაწყვეტი, ლექსი ა. ხაბულიანისა.—ხელოვნება და მისი მიზანი ივ. გომართლისა.—პატარა ყარამანიანი ი. ევლოშვილისა.—„ახირებული პრეტენზია“ ა. წულუკიძისა.—წერილი რედაქციის მიმართ და განცხადებები.

ომურგეთის ქალაქის თვითმართველობა

(1896—1900)

I

ახალი ხანა დაუდგათ 1896 წლიდან ჩვენ პატარა ქალაქებს: ამ წელს იმათაც მიენიჭათ თვით-მართველობა, თუმც ძლიერ შემოკლებული; მაგრამ წინანდელთან შედარებით ესეც დიდი ღვთის წყალობა იყო: ამას შემდეგ ქალაქის ბედ-იღბალი, მისი მოვლა-პატრონობა, ე. ი. ის, რასაც წინეთ პოლიცია პატრონობდა და მცხოვრებთა დაუკითხავათ განაგებდა, თვით ქალაქისავე მკვიდრთ გადაეცათ.

ერთი იმ მცირე ქალაქთაგანი, რომელშიაც ხსენებულ წელს შემოღებულ იქმნა შემოკლებული თვით-მართველობა, არის ოზურგეთი. თუ მკითხველი არ გვისაყვედურებს, ეს წერილი უნდა ვუძღვნათ ხსენებული ქალაქის თვით-მართველობას. ჩვენი მიზანია განვიხილოთ პირველი წყაროების

სამუშაოებით და იმათ საფუძველზე ის, თუ ამ ოთხი წლის განმავლობაში რა გაკეთდა, ან თუ როგორ მიმდინარეობდნენ უმთავრესი საქმეები ოზურგეთის ქალაქის საპქოში.

ოზურგეთის ქალაქის თვით-მართველობის მოქმედება დაიწყო 16 სექტემბერს 1896 წელს. იმას შეადგენდა 12 წარმომადგენელი, ქალაქის მცხოვრებთა მიერ არჩეულნი და ქალაქის მამასახლისი, თ-ღი ნ. ყ. თავდგირიძე, არჩეული წარმომადგენელთა მიერ. სწორეთ დიდი მადლობის ღირსნი არიან ოზურგეთის წარმომადგენელნი, რომ იმათ იმოდენი სულგრძელობა და უანგარობა იხმარეს, რომ ქალაქის თავის არჩევის დროს უპირატესობა განათლებას დაუთმეს და ქალაქის თავათ აირჩიეს ახალგაზდა განათლებული კაცი, ნ. თავდგირიძე, რომელსაც, როგორც თითონ არა ერთხელ განეცხადებია, რასაკვირველია, სიტყვიერათ, მხოლოთ საზოგადო საქმისთვის სამსახურა წყუროდა და მისთვის სურდა შეეწირა მთელი თავის სიცოცხლე. მაგრამ მით უფრო გასაკვირველია მათი შემდეგი საქციელი: ამას

შემდეგ ჩვენ ოზურგეთის ქალაქის წარმომადგენლებს აღარ ვხედავთ; ბ-ნ თავდგირიძის არჩევის შემდეგ ისინი თითქო საღლაც გაქრენ, ვითომც თავისი მოვალეობა შეესრულებინათ. მხოლოდ სიები გვაგონებენ იმათ არსებობას მთელი ოთხი წლის განმავლობაში. მართალია, ისინი ესწრებიან ქალაქის საბჭოს სხდომებს, ისმენენ ბ-ნ თავდგირიძის დაუბოლოვებელ ლათაიებს, თანხმობის ნიშნათ ყოველივე მის წინადადებაზე თუ პროექტებზე აქნევენ თავს, აწერენ ხელს ოქმებზე, მაგრამ მთელი ამ ოთხი წლის განმავლობაში არა ჩანს, რომ იმათ რაიმე თავის საკუთარი აზრი გამოეხატათ, ან თავისი მოსაზრება შეეფარდებიათ ბ-ნ თავდგირიძის მოსაზრებისათვის, ერთხელ მაინც არის საფუძვლიანათ მოეწონებიათ ან უარი ეთქვათ იმის წინადადებაზე. ამნაირათ ქალაქის წარმომადგენელნი ამიერიდან ბ-ნ თავდგირიძისთვის მხოლოდ გარეგანი მორთულობაა, დეკორაცია, საღაც ის ერთ და იმავე დროს მოთამაშეც არის, მაყურებელიც და დამფასებელიც. მთელი ოთხი წლის განმავლობაში ბ-ნ თავდგირიძეს, ლუი XIV მსგავსათ, თამამათ შეეძლო ეთქვა: „la municipalité c'est moi—ქალაქის საბჭო ეს მე ვარო“. მაშასადამე ამ ხნის განმავლობაში თვით-მმართველობის პრინციპი ფიქტიათ იქცა. რადგანაც საბჭოს თავიდან ბოლომდე მხოლოდ ერთი კაცი, ბ-ნი თავდგირიძე შეადგენდა, ამიტომ თავისთავათ იგულისხმება, რომ ოზურგეთის ქალაქის თვით-მმართველობაზე სუბარჩი თავდგირიძეზე საუბარია. მაშ ჯადავილეთ საქმეზე.

უწინარეს ყოვლისა ჩვენი ყურადღება მივაქციოთ ქალაქის ნივთიერ მდგომარეობას, მის შეძლებას, გავიგოთ, თუ რას წარმოადგენდა ამ მხრით ოზურგეთი რამდენიმე წლის წინეთ თვით-მმართველობის შემოღებამდის და შემდეგ. ოზურგეთის შესავალ-გასავალი იყო:

ეს ციფრები გვეუბნება, რომ ხუთი წლის განმავლობაში ოზურგეთის შემოსავალი 3778 მანეთიდან ასულა 9285 მანეთამდე, ე. ი. მოუმატია 5507 მან., ანუ 146%⁰. იმავე დროს კი ქალაქის გასავალს, ხარჯებს, მოუმატია 5822 მან. (9192—3360=5822), ანუ 173%⁰, ე. ი. ხარჯებს უფრო მოუმატია, ვინც შემოსავალს. ასეთია გარეგანი მხარე ამ ციფრებისა. ვინც მარტო იმათ შეხედავს, იფიქრებს, რომ ოზურგეთს ამ მცირე ხნის განმავლობაში დიდი წარმატება დატყობია, მის შესავალ-გასავალს შესამჩნევათ უმატია. თუმც გასავალი ბევრით აღემატება შემოსავალს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს გარემოება ქალაქის ნივთიერ განვითარებას, მისი ვაჭრობის გაძლიერებას ნიშნავსო. სამწუხაროთ ასეთი ფიქრი უაღვილო და ყოველად უსაფუძვლო გამოდგება, როცა საქმის ვითარებას ახლოდან ჩაუკვირდებით. განა ყველასათვის აშკარა არ არის, ვინც კი ოზურგეთის ცხოვრებას ცოტათიც არის ღრმათ უკვირდება, რომ ამ უკანასკნელ წლებში ოზურგეთის ვაჭრობა, რაზედაც დამოკიდებულია მისი შემოსავალი, არა თუ არ გაძლიერებულია, არამედ რამდენიც არის კიდევაც შემცირებულია. მაშასადამე, რადგანაც ოზურგეთს თვით-მმართველობის შემოღების შემდეგ შემოსავლის ახალი წყარო არ გაჩენია და მიუხედავად ამისა შემოსავალი კი ერთი ორათ და ერთი სამათ გადიდდა, ეს მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ ღღეს ერთი ორათ და ერთი სამათ მეტი ერთმევათ ხარჯის გადამხდელთ, ვინც ამ ხუთი წლის წინეთ. რომ უფრო ნათლათ და გარკვევით წარმოვიდგინოთ ოზურგეთის ქალაქის შესავალ-გასავლის ხასიათი, მოვიყვანოთ აქ ერთი წლას, მაგ., 1898 წლის, ხარჯთ-აღრიცხვა თითოეული მუხლით.

შე მ ო ს ა ვ ა ლ ი

წლები	შესავალი	გასავალი
1893	3,227 მ. 67 კ.	4,083—35
1894	3,382—34—	3,426—12
1895	3,778—36—	3,360—19

თვით-მმართველობის დროს:

წლები	შესავალი	გასავალი
1897 ¹⁾	5,838—59	6,153—27
1898	5,848—84	6,799—76
1899 ²⁾	6,773—95	6,761—71
1900	9,285—8	9,192—27

	მან.	კაპ.
I. სავაჭრო მოწმობები.	1112	90
II. სასწავლებლების და ბაღის სააარგებლოთ.	408	79
III. სხვა-და-სხვა საიჯ. შემოს.	1680	5
IV. უძრავ მამულებისაგან.	2218	55
V. სხვა-და-სხვა წყაროებიდან.	428	55
ს უ ლ .	5848	84

¹⁾ 1896 წელს ვტოვებთ, რადგანაც ამ წლის შესავალ-გასავლის ანგარიში არეულ-დარეულია.

²⁾ გამგებობის ხარჯთ-აღრიცხვით, რომელიც გუბერნატორმა არ დაამტკიცა, ქალაქის შემოსავალი უღრიდა 12,585 მან. და გასავალი 12,500 მან.

გ ა ს ა ვ ა ლ ი

	მან.	კაპ.
I. ქალაქის თვითმარ. შენ.	2442	72
II. განათება, ხიდის გაკეთება	1334	78
III. ქალაქის ბაღი, ბიბ. და საქალ. სასწავ.	391	10
IV. პოლიცია და სატუსაღო.	1888	40
V. ქალაქის საავათმყოფო	326	86
VI. სხვა-და-სხვა წვრილ. ხარ.	415	90
ს უ ლ .	6799	76

რომ ამ ხარჯთ-აღრიცხვის მნიშვნელობა გარკვევით წარმოვიდგინოთ, შემოსავლიდან გამოვრიცხოთ ისეთი შემთხვევითი შემოსავალი, როგორც არის შემოსავალი სასწავლებელთა და ბაღის სასარგებლოთ, სულ 408—79; ეს სუმა გამოვაკლოთ შემოსავლის საერთო ჯამს და მაშინ მივიღებთ 5440 მან. ასევე მოვექცეთ გასავალსაც, რომლიდანაც გამოვრიცხოთ ის, რასაც შემთხვევითი ხასიათი აქვს, ე. ი. იგივე სტატიები რაც შემოსავლიდან გამოვრიცხეთ, მივიღებთ 6468—76.

აქედან მკითხველი ხედავს, რომ ხსენებული წლის ხარჯთ-აღრიცხვა დეფიციტით არის დასრულებული, ე. ი. შემოსავალი ვერ ჰფარავს გასავალს, ეს უკანასკნელი მეტია 1028 მან. 70 კაპ., დეფიციტი ოზურგეთის ქალაქის ხარჯ-აღრიცხვაში რაც ხანი გადის სულ უფრო და უფრო მატულობს, მაგრამ ამის შესახებ კიდევ შემდეგ გვექნება საუბარი. აქ მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ აი რას: ოზურგეთის შემოსავლის უმთავრესი წყაროები ყოფილა: 1, უძრავი მამულები, რომლებიც იძლევიან 2218 მან. ანუ მთელი შემოსავლის 40%; 2, საიჯარო შემოსავალი, რაც იძლევა 1680 მან., ანუ 31%; და 3, სავაჭრო მოწმობებიდან 1112 მან, ანუ 20%. ყველა ესენი იძლევიან მაშასადამე 91% მთელი შემოსავლისას. რაც შეეხება გასავალს, ყველაზე მეტი იხარჯება თვით-მმართველობის შენახვისათვის—2244 მან. წლიურათ ანუ 37,7% მთელი შემოსავლისა; შემდეგ მოდის პოლიცია, რომელზედაც იხარჯება 1888³⁾ მან., ანუ 29%. განსაკუთრებით მცხოვრებთა სასარგებლოთ იხარჯება მხოლოდ მთელი შემოსავლის 26%. ამნაირათ ოზურგეთის თვით-მმართველობა თითქმის მთელი შემოსავლის ნახევარს თავის თავს ანდომებს, მერე პოლიციას აძლევს და ნაფინანსებს ქალაქის საჭიროებას ახმარს.

³⁾ უნდა შევნიშნოთ, რომ პოლიციის ხარჯში აქ არ შედის 846 მან., რომელიც ბეგარათ ედვა ოზურგეთს და რომელიც მთავრობამ აპატივა, თორემ მართლ ამ ვადასახადის „ნედლომკვებს“ ვერ აუვიდოდა ოზურგეთის მთელი შემოსავალი.

ერთი სიტყვით ქალაქის საჭიროებათა დასაკმაყოფილება მოძულეებულია ოზურგეთის თვით-მართველობის მხრით. მაშ რა იყო ამ დაწესებულების მიზანი? რას ფიქრობდნ ოზურგეთელები, როცა სიხარულით ეგებებოდნ მას? ნუ თუ მათთვის მართო თვითმართველობის სახელი იყო საჭირო? ნუ თუ ამ დაწესებულების მიზანი ის იყო, რომ მას მხოლოდ თავისი თავის შენახვისთვის ეზრუნა? გამოდის, რომ ყოველივე ეს მართალი ყოფილა, რომ ოზურგეთში თვით-მართველობის დედა-აზრი რაღაც მანქანების წყალობით უკუღმა შეტრიალებულა: სხვა ადგილას თუ თვით-მართველობა საზოგადო სარგებლობისთვის არის შემოდებული, ოზურგეთში იგი კერძო საქმეთ გადაქცეულა. აი, მხოლოდ ამით აიხსნება ის საარაკო და გასაშტერებელი გარემოებანი, რომლებიც უამისოთ სრულიად გაუგებარნი იქნებოდნ.

ფ. მახარაძე.

(შემდეგი იქნება)

სხვა-და-სხვა ამბები

გამუდმებულმა წვიმებმა ზურს ბევრი ზარალი მოუტანა. განჯის მაზრაში კალაქი გაუქვწავი დარჩა და ხალხი კი ზურს ეიდუღობს. გორის მაზრის ზოგიერთ სოფლებში, მაგ. საციციანოში ძალიან ნაკლები გამოსავალი აქვს ზურს, ურემს ერთი კოდი ძლივს გამოდის თურმე და ისიც ფშუტი მარცვალა არისა.

იმერეთის ეპარქიის საქმეთა გამგეთ დროებით, ვიდრე ახლდ განკარგულებას მოახდენდეს უმაღლესი მთავრობა, დანიშნულია გორის ეპისკოპოსი ლეონიდი.

ქალაქის საარჩევნო თანამდებობაზე ამოწმებულ პირების დამტკიცება სენატის განმარტებით დამოკიდებულია ადგილობრივ საკუბერნიო მთავრობისაგან.

თფილისის გუბერნატორს მოუვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწერილობა, რომ ამიერიდან, სახლის ზატრონთა სიაში შეტანილ იქმნას ყველა წლოვანობისა და სქესის განურჩევლათ, ვინც კი ამ სიის გამოქვეყნებამდე ერთის წლის წინეთ ქალაქის ადგილზე უძრავ მამულის მესაკუთრეთ ირიცხებოდა და ვისი უძრავი ქონებაც ას მანეთზე მეტათ ღირს. წინანდელი წესით სახლის ზატრონთა სიაში მხოლოდ მამრებითი სქესის წევრნი შეჭყავდათ, არა ნაკლებ 25 წლისა, ახლავი სიაში ყველა იქნება შეტანილი წლოვანებისა და სქესის განურჩევლათ და საარჩევნო ხმაც ექნებათ.

შეტრეზვების რეინის გზების უფროსების კრებაზე გადაწყვეტილი მისკოვიდან ბაქოში მიმდინარე ხაზის მიმდინარე გაშენება. მატარებელი კვირაში ერთხელ ივლის 15 ოქტომბრიდან და გზის მოხუნდება 68 საათს და 34 წუთს. ერთი ვაგონი ბარგისა იქნება და ორ-ორი პირველი და მეორე კლასისა და ერთი სამხარეული ვაგონი.

დაიბეჭდა და გამოვიდა ცალკე წიგნაკით ქართული „პრესა“, რომელიც ამას წინეთ „კვალში“ იბეჭდებოდა, წერილები ნოე ჟორდანიასი. ფასი სუთი შაური.

ამ წლის პირველ ექვსი თვის განმავლობაში ქალ. შეტრეზვიდან ნავთობის სასაწყობო გუბერნიისათ ში მილიონი ფუთი ნავთი და ხაზინის შემოსავალი სამ მილიონამდის არის. შარშან კი წლის განმავლობაში შეტრეზვიდან სხვა-და-სხვა ადგილებში გატანილი იყო 9 მილიონი ფუთი ნავთი.

ჩვენ სამდელი წყაროდან გავიგეთ, რომ ალ. ჭინაძისთვის დირექტორობის ადგილი უძღვეიათ ერევანში და მას უარი განუცხადებია.

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა ადგილობრივ სამმართველოს მთავარ ხელის მმართველობისა და საქონლის თვალყურის სადგენებლათ გადაუდგია წლიურათ 1980 მ. ამ ფულით მიიწვევიან ერთ ბეითადს 1200 მ. ჯამაგირით და ერთსაც იერშადს, რომელსაც 420 მან. მიეცემა ჯამაგირათ. დანახვენ 360 მანეთათ დაიქირავებენ საბეითადს მეთვალყურეს.

გზათა სამინისტრომ გამოითხვავ ხაზინიდან 3,953,000 მან. კრედიტი ფოთის პორტის კაპიტალურათ გადაკეთებისათვის.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საბოლოო უარ ჭეო აზრი ერობის შემოღებისა იქ, სადაც ერობს არ ახსებობს. სამაგიეროთ ახლა იქნებოენ გუმჯობესებისა იმ ადგილობრივ დაწესებულებათა, რომელთა ხელშია ახლა არის საერობო საქმეები.

რადგანაც სამხედრო საჭიროებისათვის შესამჩნევათ იმატა ხარჯმა, ფინანსთა სამინისტრო ზრუნავს გამოქვინოს ახალი საშუალებანი სახელმწიფო შემოსავლის გადიდებისათვის. გარდა სადაზოქრო ტარიფის და სახანძროტო გადასახადის მომატებისა, განზრახულია მოუმატონ ზოგიერთ სხვა გადასახადებს მომავალ 1901 წ.

ფინანსთა სამინისტრომ ნება მისცა ფოთის ქალაქის საბჭოს გამოსცეს ხუთ-პროცენტის სარბლივაციო

სესხი 2,000,000 მანეთისა. ფული, რომელსაც აიღებს ქალაქი სესხას რეალიზაციის გასადღებას მიმდებარე მოხმარდება ფოთის პორტის გადაკეთების და შინაგანი ბასენის გადიდების და მოწყობის. სოთხანდა მთავრობას უკვე შეუკვეთნია კელსინგფორსში სახელმწიფო კომპროტის კატორით ფოთის პორტში მუშაობის წარმოებისათვის.

„პრავიტელსტვენსი ვესტნიკში“ დაბეჭდილია სხალხე განათლების სამი ტირკულიარი შესახებ 1) ძველი ენების სწავლების ახალი გეგმისა, 2) შედაგოვიორ რჩევების და სამხურნეო კომიტეტების მოქმედებისა და 3) მისწავლებლებისაგან სასწავლო საგნების დაწვრილებითი პრეგრამების შედგენისა. ეს ახალი გეგმები ჯერ არ არის საგნებით გამოქვეყნებული; მხოლოთ ერთია ცხადი: აღარ იქნება წერითი გამოცდები რუსულიდან ძველ ენებზე. გრამატიკას ახლა იმდენათ აწავლიან, რამდენათაც იგი საჭირო იქნება ძველი მწერლობის კითხვის დროს.

ქუთაისიდან სწერენ გაზ. „კავკასის“: აქ, უმაღლესათ ამა წლის 12 ივნისს დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს აზრის თანახმით, შედგა გუბერნიის საადგილმამულო გარდასახდათ გამაწილებელი საკრებულო სამხედრო გუბერნატორის, გენერალ-მაიორის გერშელმანის თავმჯდომარეობით. გუბერნიის საკრებულოს გარდა, სამაზრო საკრებულოებიც უნდა დაწესდეს, რომელშიაც თვით საადგილ-მამულო გარდასახადის მძღველთაგან მიწვეულ იქნებიან: ქუთაისის მაზრის საკრებულოში — პოდპოლკოვნიკი თავ. გ. ვ. მიქელაძე; შოროპისში — თავ. ბ. დ. წერეთელი, ოზურგეთისში — გ. ტ. ჯაყელი, სენაკისში — პოდპოლკოვნიკი თავ. ო. ე. დადიანი, რაჭისში — თავ. დ. ა. უიფიანი, ზუგდიდისში — შტაბსკაპიტანი თავ. ლ. დ. ჩინუა და ლენხუმისში — პოდპოლკოვნიკი თავ. ე. გ. გელაშანი. საოქრო-საკრებულოში: სუხუმისში — თ. ი. გ. შარვაშიძე, ბათუმისში — სამსახურს გერეშე მუოფი ი. ი. ვარლამიძე და ართვინისში — პოდპოლკოვნიკი ნურბეგ-ხიმშიაშვილი.

ომის ამბები

ევროპიელთა ერთი უმთავრეს მისწრაფებათაგანი უკვე მიღწეულია: მოკავშირეთა ჯარმა შეანგრია ბერკის გელა და ქალაქში დახანჯა. ჩინელთა ძალა შემუსრულ იქმნა და ყოველივე მათი ცდა, რომ რომელიმე თავიანთი დედა ქალაქი გაემარებინათ და მტერი არ შემოემვათ, ამათ შეიქნა. ავტო ერთ კვირაზე მეტია, რაც მოკავშირეთა ჯარი, გენერალ ლენგეინის წინამძღოლობით,

ბეკინში შევიდა და ქალაქის სხვა-და-სხვა ნაწილს იღებს და იმორჩილებს. ოთხი დღის წინეთ ბეკინის დაქვეითების დროს ქვეყნის დედოფალი, იმპერატორი და მინისტრები გამოვიდნენ ქალაქიდან. ამანათ, ჩინეთის დედა ქალაქი ხელთ ჩაუვარდათ ევროპელებს, მაგრამ მიუხედავად ამისა ისინი კიდევ იძლიერებენ ძალას, ახალ-ახალ ჯარებს გზავნიან შორეულ აღმოსავლეთში. ამ მოკლე ხანში რუსეთს განზრახული აქვს გაგზავნოს ჩინეთში 160,000 მეომარი და დანახენ სახელმწიფოებს—230,000. ეს უტუყარი ნიშანია იმისი, რომ ევროპელებს ახლა იგრძნეს თუ ვისთან აქვთ საქმე; ფიქრობენ რომ შესაძლებელია ახლა მომავალში ისეთი ამბები დატრიალდეს, რომ დღევანდელი ბრძოლა სულ ერთიანათ დაჩრდილოს. ჯერ-ჯერობით უზარმაზარ ჩინეთის ზედა ნაწილი შეინძრება, ხალხი მის სიღრმეს როდი მიწვდენია ბრძოლის ნაპირწვლი და ამისათვის არის სწორეთ რომ ევროპა ძალას იკრებს და ემზადება მომავლისთვის.

აი რას მოგვითხრობენ უკანასკნელი დებუებები:

ნიუ-იორკი. ბეკინიდან დებუებით იუწყებიან, რომ რუსთა ჯარი შიშველი მოვიდა და დაიჭინა აღმოსავლეთის კარი ჯერ კიდევ 1 აგვისტოს დღით, ამავე დღის 2 საათზე ბრიტანიის და აშერაიის ჯარი შეიჭრა ქალაქის კარებში; ჩინელებმა მხოლოდ მცირე წინააღმდეგობა გაუწიეს. უფრო სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს ჩინელებმა იანონელთ, რომლებიც აღმოსავლეთის ზემო კარებიდან შევიდნენ ქალაქში. შუადამისან იანონელებმა საფეთქეს ქალაქის კარი და შევიდნენ შიგ. ჩინელთაგანი ბევრია დახრცილი. მსხვი. გაზეთების ცნობებით, უცხოელ ჯარების ბეკინის კარე ნაწილში შესვლის შემდეგ მონდა სასტიკი ბრძოლა. შეერთებულმა ჯარებმა გაანგრეს ქალაქის „წმიდა ნაწილის“ კედელი და აიღეს იგი. 4,000 ჩინელმა ქრისტანმა დიდი სიმსხური გაუწია უცხოელებს ქალაქის კარკათ ცოდნით. ახლა მოკავშირეთა დროებში ამართული არიან იმპერატორის სასახლეზე. ქუჩებზე ბრძოლა არის; ჩინელები ჯერ კიდევ სასტიკი წინააღმდეგობას უწევენ მტერს.

ჩინეთის ამბებმა ისე დაანტყრეს საზოგადოება, ისე გაიტაცა მთელი შეგნებული კაცობრიობა, რომ სრულიად დაავიწყდათ გომი ბურები; ჩრდილი მიაყენა სამხრეთ აფრიკის საზღაპრო ამბებს.


— მართლა რომ საზღაპროს სამხრეთ აფრიკის ამბები. აკერ ერთი წელიწადი სრულდება და იქ ომი კიდევ არ შეუგუბილა. ერთხან თითქმის გულ გატეხილი ბურები ისევ გამხევედნ და გარკვეული ენერგიით შეუტყეს ინგლისელებს. ჩინეთის ომმა შუაზე გაჭედა ინგლისთა ძალა და ამაზე უკვე თავის ნაყოფი მოიტანა: ამ ბოლო ხანებში ბურებმა რამდენჯერმე სასტიკათ დამარცხეს ინგლისელები. ამ დღეებში, მაგალითათ, ბურების ერთმა სარდალთაგანმა დევეტმა ოთხი ათასი ინგლისელი დაატყვევა და ინგლისელი სარდალი ბადენ ზოუელი იმ გვარ ადგილას მიიმწყვდია, რომ ან უნდა იარაღი დატყვაროს და დახუბდეს დევეტს, ან არა და ერთიანათ ამოწყდეს. ინგლისის სამხედრო სამინისტრომ ამ დღეებში გამოაქვეყნა ოფიციალური სია სამხრეთ აფრიკაში დახრცილ მეომართა, საიდანაც ჩანს, რომ მათ დაუკარგავთ 37,779 ოფიცერი და სალდათი.

„ველის“ კორესპონდენცია

სოფ. უწერა. ს. უწერა მდებარეობს ქუთაისის და კავკასიის შუა გზაზე; ქუთაისიდან უწერამდე 121 ვერსტია, ამდენივეა უწერიდან კავკასამდე. უწერის მდებარეობა სწორეთ დიხს შესანიშნავია. სოფელს ზედ შუაზე ჩამოედის მდ. რიხნი; ამის აქეთ-იქით მრავალ გვარი სამკურნალო წყლებით შემოვლილი მთებია, რომლებიც დაფარულია ნაძვის და ფიჭვის ხეებით. უწერის სამკურნალო წყლები მართლაც რომ საუკრადებოა. ავთმოფიები სვამენ აქაურ წყალს, ვისაც რამდენი სურს, მაგრამ მიუხედავად ამისა უკვლას რგებს. მართალია შირველთა წყლის მდებარე სისუსტეს და თავის ტკივილს გრძობს კაცი; მაგრამ მრ-სამ დღეს შემდეგ თან-და-თან უკეთობას ატყობს და შემდეგ ორი სამი კვირისა იკურნება კიდევ. სამკურნალო წყლები ბევრგან გამოდის, მაგრამ ხმარებაში მხოლოდ ერთია, რომელიც მოწონებულია და ეკუთვნის ი. ე. გამურელიძეს, თფილისის მეორე გიმნაზიის ინსპექტორს. სადაც სამკურნალო წყალი გამოდის, იქ ბ-ნ გამურელიძეს აშენებული აქვს ფარდული საჯდომი სვამებით, რომელშიაც ას კაცამდე ეტყვა. ავთმოფიი დადიან იქ უმეტეს ნაწილათ დღეში ორჯერ: დღის რვა-ცხრა საათზე და საღამოს ხუთ-ექვს საათზე. ეფექტულის ჩამოატარებენ სინზე ტიქებით სამკურნალო წყალს რიგ-რიგობით და ვსვამთ ვისაც რამდენი გვსურს, ზოგნი თითქმის ოც ტიქამდე სვამენ თითო მისვლასზე და შემხნულია რომ იმათ ეს თავს ატკივებს. რასაკვირველია, ექიმის დარკება რომ იუვეს მამინ ასე არ მოატყვოდნენ. აქვე გამოდის რკინის წყალი, რომელსაც თავის ტკივილის წამალს უწოდებენ: როცა თავი ატკივით ამ წყლით თავს იბანენ და კურნავს ამბობენ. კიდევ გამოდის აქვე მწარე წყალი, ეს წყალი ჯერ შეუმწმელებია ექიმებისაგან. როგორც თვითონ ბნი გამურელიძე შელანარკა, ეს წყალი მოქმედებს ისრე როგორც საგანგებოთ მომზადებული კუჭის გასაწმენდი მწარე წყალი. თვითოეული კაცის წყლით სარკებლობს დიხს დღეში ექვსი კაპიკი. ქალაქშიაიც საკმაოთ ბევრი წყალი მიაქვთ; თითო ბოთლში ახდევინებენ სამ ჭაბუკს. ამ ბოთლებს დამე ავსებენ, რადგანაც კურსის დროს ვერ ასწრებენ ავსებას. წყალი ცოტა გამოდის, ასე რომ როცა დიდი საზოგადოება იყრის

თავს დიდ ხანს ჭირდებოდა ცდა და საუკუადურებიც ისმის. გარშემო წყლები ბევრი იკარგება რადგანაც ჯერ არ არის ცემენტით ამოყვანილი; მომავლისათვის აზრათ აქვს ბ-ნ გამურედიც ექიმი მოიწვიოს მთელ კუჩსზე, ესე სხე- ნებუდი წყარო ცემენტით ამოყვანოს, მწარე წყალი გა- გზავნოს და შეამწმებინოს, გზები შეაკეთოს, ფარ- დული გააუმჯობესოს, და შენობები ააშენოს და რცა ბ-ნი გამურედიც ეველა ამას სისრულეში მოიყვანს, რასაკვირველია უწერის სამკურნალო წყლებს სულ სხვა შეხედულება ექმნება. ამასთან არ იქნება ურიგო, რომ კუჩის დროს რამდენიმე ჟურნალ-გაზეთი გამოიწეროს. აქვე სოფელში რკინის წყლის აბანოებია გამართული და ვი- საც რა სიტბო სურს ისე ახელებენ ცივი წყლით, მაგრამ უქეიმთ ამ ნაირო ვანის მიღება ძნელი გასაბედავია. მიუ- ხედავთ ამის მანინ ბევრი ბანაობს. შენიშნულია, რომ მუავე წყალი რგებს ციებ-ცხელებას, კუჭის ავთამოფობას, გუ- ლის სიმსუქნეს და სხვას. ციება რა არის არ იცან აქაურმა მცხარეებლებმა, საჭმელ-სასმელის მხრით კი ძლიერ სსსტი- კი წესრიგია დცული; ღვინოს აქ გგანებ წამლათაც ვერ იშოვნით. ეველას რიონის წყალი უდგას სტოღზე; თუშცა წყაროები ბევრია, მაგრამ რიონის წყალი უფრო გემრიე- ლი და სსსარგებელია. ღვინო უფრო მიტომ არ არის ხმარებაში, რომ შენიშნული აქვთ იგი მუავე წყალთან მავნებელია. მავნებელია ავრეთვე ხილი, მწვანელი, კიტრი. საჭმელებიც მსუბუქი კეთდება. გასართობები არაფერი არ არის, არ არის ამასთან არც ჟურნალ-გაზეთობა და სამკითხველო.

ე. ჩ.



† ვილჰელმ ლიბკნეხტი

უმ ორი თვის წინეთ ერთ Yarieté-ს ტიპის თეატრ- ში ყოფნა მომიხდა ქ. ლეიპციგში. მგონია მკითხ- ველმა იცის, თუ რა გვარი თეატრია ეს. აქ სტუ- მარი კუჭის დაკმაყოფილებას გარდა ესტეტიურ დაკმაყოფილებასაც პოულობს. აქ მღერიან, ჯამ- ბაზები თამაშობენ, თვალთმაქცები თავის ხე- ლოვნებას იჩენენ და სხვა... აი, სწორეთ ასეთი თეატრი იყო, რომელზედაც მე მოგახსენებთ. სხვათა შორის სცენაზე მოთამაშეებში ორი ინგ- ლისელი ვრია: ერთი მამა-კაცი და მეორე ქალი. ამათი მოსვლა იმ ქალაქში დიდი რეკლამებით იყო გამოცხადებული თავის დროზე. მათი თამაში მართლაც გასაკვირველია; ქალი მიჯდომოდა სცე- ნაზე ფორტეფიანოს, საზოგადოებისაკენ ზურგ შექცეული; ასევე მამა-კაცი ერთ დიდ შკაფს. საზოგადოებაში ჩამდგარიყო იმათი ამხანაგი და თხოვდა ხალხს: მითხარით ყურში ჩუმათ ვინმე ცნობილი პარის სახელი და ნახავთ, რომ რამდე-

ნიმე წუთში სცენაზე მოთამაშე კაცი ამ აღმანიის სახეს წარმოგიდგენთო, და რომ ექვი არ შეიტა- ნოთ, მე სცენას მხარს შევაქცევ და ისე დავდგე- ბიო. ხალხიც მას უსახელებდა სხვა-და-სხვა მეფეებს ღ პოლიტიკურ მოღვაწეებს. არტისტიც, ხალხისაკენ ზურგ შექცეული; იკეთებდა დასახელებულ კაცის სახეს და ისე შემობრუნდებოდა მაყურებლებისა- კენ საჩვენებლათ თან დასძენდა კიდევ, ვისი სა- ხეც ჰქონდა გაკეთებული. ბევრი გამოჩენილი პი- რების სახეები გვიჩვენა. ერთხელ ერთი მოხუცე- ბული ადამიანის სახით წარმოდგა: თეთრ თმა-წვე- რიანი, მაღალ და ფართოთ გადაშლილ შუბლით, განივრათ გახელილ თვლებით, გრძელ და ოღნავ მოხრილი ცხვირით, ცოტა თხელი და ბამბასავით თეთრი გაბენტილი წვერით და გამოაცხადა; ვილ- ჰელმ ლიბკნეხტი. ეს თქმა იყო და ატყდა თეატ- რში ტაშის ცემა და ვაშას ძახილი. ესენი იყვენ მუ- შები, რომლებიც ლიბკნეხტის სახელის გაგონე- ბაზე გამხიარებულნი, კმაყოფილებას აცხადებდენ.

შვიდ მარიაშობის თვეს, დილის ოთხ საათზე გარდაიცვალა გერმანიის დედა ქალაქ ბერლინში, ვილჰელმ ლიბკნეხტი ტვინის სიღამბლით.

ვინ იყო ლიბკნეხტი?

ვილჰელმ ლიბკნეხტი დაიბადა 1826 წ. მამა- მისი ჩინოვნიკი იყო. საშუალო სწავლა დაამთავ- რა გიმნაზიაში, შემდეგ ოთხ წელიწად ნახევარს, ბერ- ლინსა და მარბურგის უნივერსიტეტში სწავლობ- და, პირველათ ფილოლოგიურს და თეოლოგიურ ფაკულტეტებზე ისმენდა ლექციებს, შემდეგ ფი- ლოსოფიურზე. უკანასკნელ ფაკულტეტზე მან შეიმუშავა „მარქსის“ უკვდავი აზრები, რომლის განხორციელებას სწავლის დამთავრებიდანვე შეუდ- ვა. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდის, დაუღა- ლავათ ებრძოდა გაბატონებულ კლასს, და მით იცავდა მუშათა ინტერესებს. ამ სარბიელზე მოღ- ვაწეობდა, ლიბკნეხტი, ორმოცდა ათ წელიწადს, რომლის განმავლობაშიაც რამდენიმე გამჭრიახე, საავიტაციო წერილები დაუწერია. მისი საავიტა- ციო წერილები ცნობილია მთელ გერმანიაში. თავისი ბუნებრივი ნიჭი მარტო წერილობითი აზ- რის გავრცელებას არ მოანდომა, სიტყვიერთაც ყველა გერმანიის ქალაქში რამდენჯერმე წარმოუ- თქვამს. ყველა ქალაქის მუშას თავის საკუთარი ყურით მოუსმენია მისი მედგარივით გამჭრიახე სიტყვა, საკუთარი თვლებით დაუნახავს მისი ბევ- რის გამომმეტყველი სახე. მას გამოუთქმელი შრომა მიუძღვის გერმანელ მუშათა წინაშე. იგი იმ დროს გამოვიდა სამოღვაწეოთ, როცა გერმანიაში სხვა- და-სხვა მუშათა პარტიები არსებობდა, რომლებიც ერთი მეორეს ეწინააღმდეგებოდენ აზრთა-შეხედუ-

ლობით და მით შეუძლებლათ ხდიდნენ ერთს დამდგარ და გარკვეულ პარტიის დაფუძნებას. ლიბკნეხტის დაუღალავ მოღვაწეობით შეუერთდნენ, შეხედულობით სხვა-და-სხვა პარტიები და დაარსდა—სოციალ-დემოკრატიული პარტია. მუშათა კითხვას ლიბკნეხტის პირველ მოღვაწეობის დროს ვიწრო ფარგალი ჰქონდა.

ლიბკნეხტი ღრმა მოხუცებულებამდის მოღვაწეობდა. სასტიკი მოწინააღმდეგე იყო ფლორის და ჯარების გაძლიერებისა. 1900 წ. 12 მკათათვეს უკანასკსელათ წარმოთქვა ლეიპციგში თავისი მკაცრი სიტყვა გერმანიის მსოფლიო პოლიტიკის და გაბატონებული კლასის წინააღმდეგ. და ბოლოს, 7 მარიაშობისთვის ერთ ქალაქში აპირებდა სიტყვის წარმოთქმას. წინა საღამოს 8 საათამდის ბერლინის მუშათა ცენტრალურ ორგანოს რედაქციაში ემუშავნა და ღამის ორ საათამდის თავის კაბინეტში; ამ დროს მოუვიდა ტვინის სიღამბოე და უცებ გარდაიცვალა.

ვილჰელმ ლიბკნეხტის სიკვდილის ხმა სწრაფათ მოეფინა მთელ გერმანიას. გაიმართა ყველა ქალაქებში სოციალ-დემოკრატთა კრება მის დიადი შრომის მოსაგონებლათ. ერთი ასეთივე კრება მოხდა ქ. ლეიპციგში, უზარმაზარ ლულ-ხანაში, რომელიც იტევდა ექვსი ათას მუშას; ვინც მისწრო შესვლა, ვინც არა და უკან ბრუნდებოდა. ლულხანის შუა ალაგას ამალღებული იყო ლიბკნეხტის ფოტოგრაფიული სურათი შემდეგი წარწერით: „მოხუცი მეომარი და აგიტატორი, ვილჰელმ ლიბკნეხტი“, გარემემო ელექტრონული სინათლით იყო გაჩირაღდებული. კრების დასაწყისს პირველათ მუსიკამ დაუკრა სამგლოვიარო საგალობელი, შემდეგ მუშათა ხორომ ივალობა. საგალობელს შემდეგ ორატორთ სიტყვა წარმოთქვეს, რომელშიაც მოკლეთ გაიხსენეს ლიბკნეხტის დიადი ღვაწლი მთელი ქვეყნის კულტურულ მუშათა წინაშე. საყურადღებო იყო ახალ-გაზდა ქალის წაკითხული ლექსი, რომელშიაც შვენცერთათ იყო დასურათებული, ლიბკნეხტის ორმოცდა ათი წლის დაუღალავი მოღვაწეობა.

12 მარიაშობის თვეს, ლიბკნეხტი, დაასაფლავეს ქ. ბერლინში. ნახევარ მილიონ ხალხს მოეყარა თავი მის საფლავზე. სამასამდე გვირგვინი იყო. ყველა კულტურული ქვეყნის კუთხეებიდან მუშათა ასოსაციებიდან იყო სამგლოვიარო ტელეგრამები.

ქ. ლეიპციგი.

ლ. ახ.—შვილი.

ნ ა წ ყ ვ ი მ ი.



იუვანს და მიუვანს მთლათ არე-მარის
ნელი ჩუჩხული გაუგებარი;
ბუნებაც ჩუმი, თანაც მგრგვინავი,
იმათთან მუდამ მე საუბარი...
მიუვანს კაშკაშა ღამის გუშაგი,
ბნელში გამსრული მძლე სხივებისა!
დილის მზეც ცელქი... მთაზე შე-
მდგარი

გამბრწინებულები არე-მარის!..
მიუვანს, რადესაც ჯერ გაუშლელ ვარდს,
ბუღბუღი უსტვენს ტკბილ სიმღერებსა
და მწვემსიც ქვეყნათ ტანჯვით ნაშობი,
სლამურით ჰქვეყნეს სხვა-და-სხვა ხმებსა!..
უფიქლი კაცი, მიწის ნაშობი,
ანსებობისთვის წელში მხხრილი,
რაცა ის უბრძვის ცხრვების ტაღდებს,
დედ და ღამ შრამბას არა აქვს ძილი;
ხან ნადეფიანათ ამოიკვანსებს...
ხან აღმხედება სიმღერა ტკბილი!..

მიუვანს და მიუვანს ეს სურათები,
გუტქერ და ცქერით თვალი არ ძიება;
ცაური ძალით სხივებ მასილი,
იმედი გულში მიორკვედება...
და მსგულეობასაც ეკლიან გზაზე,
ვცდილობ და კიდევ შეადვილება!..

ა. ხაბულიანი

ხელოვნება და მისი მიზანი.

ეს წერილი უკვე მოფიქრებული მქონდა, როდესაც „კრებული“-ს III და IV ნომერი მივიღე. ამ ნომერში ჩემი ყურადღება სხვათა შორის ბ-ნი ხომლელის კრიტიკულმა სტატიამ მიიქცია: ერთი იმიტომ, რომ ამ „კრებულიში“ საყურადღებო ძალიან ცოტაა, მეორე თავის სტატიაში ბ-ნი ხომლელი მეც მებება და, ხომ მოგეხსენებათ, ყოველი ადამიანი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ყოველისფერს, რაც კი მის ღირსებას ან ნაკლულევანებას შეეხება. როდესაც ბ-ნი ხომლელის სტატია წავიკითხე, ამ წერილის განხორციელების სურვილი უფრო გამძლიერდა, ამის მიზეზიც ცხადია: სამი წელიწადი არც კი არის, რაც სამწერლო ასპარეზზე გამოვედი, და ასე მოკლე ხნის განმავ-


ლობაში ბევრი ყურადღებასაც არ მომაქცევდა, ვერც გამოირკვევდა ვინმე ჩემს ფიზიონომიას, როგორც მწერლისას, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გაცემა, როდესაც ბ-ნი ხომლელის შენიშვნა წავიკითხე: „მე განზრახვა მქონდა, ივ. გომართელის შემცდარ და ბუნდოვან აზრებზე სალიტერატურო კრიტიკის შესახებ პრინციპიალური სჯა-ბაასი დამეწყო“ და სხვ. თუ ამდენათ ბედნიერი ვიყავი, სწორეთ არ ვიცოდი და დიდათ ვუმადლი ბ-ნ ხომლელს, რომ შემატყობია.

ჩვენში ძალიან ბევრს გაუხდია მეთერთმეტე მცნებათ „შენც სუ, მეც სუ“, და როდესაც ასეთი მცნების მაღიარებლათ მწერალი გამოდის, ეს ფრიად საზარალო მოვლენაა, სამწუხაროს რომ თავი დავანებოთ. მაგალითისათვის შორს არ წავალ. სანამ ბ-ნი ნ. ჟორდანი „ივერიას“ მაინცა და მაინც არ ეხებოდა, „ივერიაც“ მხოლოდ ილანძლებოდა და ბ-ნი ჟორდანიას ნაწერების გარჩევა სიზმრათაც არ აგონდებოდა. როდესაც ბ-ნმა ჟორდანიამ „ივერიის“ სახე და მიმართულება გამოგვირკვია, აქ კი „ივერიამ“ ველარ მოითმინა, „გული გაუსივდა“ და შეუდგა ჟორდანიას ნაწერების გარჩევას! ასევე მოიქცა ვ. წ., ასევე ირჯებოდენ და

დღესაც ირჯებიან ჩვენი პოლემისტები. მე რომ ბ-ნ ხომლელს არ შევხებოდი, მას შეიძლება არცკი ეცოდინებოდა, რომ გომართელიც არსებობდა ქართულ მწერლობაში, მაგრამ ახლა ჩემი აზრების გარჩევაც კი მოუწადინია! ასეთი ყურადღებისათვის დიდი მადლობელი ვარ, მაგრამ ცხადზე უფრო ცხადია, რომ როდესაც გულმოსული ადამიანი კალამს იღებს ხელში, მაშინ ის სამართალსა და სიმართლეს აღარ დაგიდევსთ, მისი ერთათ ერთი მიზანია გულის მოფხანა, სულის დამშვიდება მოპირდაპირის დამცირებით. მეც ვიფიქრე, ვაი თუ ბ-ნმა ხომლელმაც ეს შეცდომა ჩაიდინოს ჩემ წინააღმდეგ მეთქი და ამიტომ, ვიმეორებ, ახლა უფრო საჭიროთ ვსცანი, მკითხველს გავუზიარო ჩემი შეხედულება ხელოვნებისა და მის დანიშნულების შესახებ,—მით უმეტეს, რომ ასეთი შინაარსის წერილები ჩვენში ძვი-

რათ იბეჭდება, და ამით ბ-ნ ხომლელსაც ურომა გავუადვილო. მე საზოგადოთ ვერიდები, რაც შეიძლება, უმართებულო კილოსა და მედიდობას და ამიტომ ვურჩევ ბ-ნ ხომლელს, ხელს ნუ აიღებს თავის განზრახვაზე და თუ ჩემი შექსპირი — ნინოშვილი, როგორც მას ჩემს გულში ამოუკითხავს, შემუსრა, მისი ულრიციც¹⁾ უნდა შემუსროს სრული გამარჯვებისათვის. ახლა კი ჩვენ საგანს მიემართოთ.

ხელოვნება ბევრგვარია, მაგრამ ამ წერილში მე მხედველობაში მაქვს მხოლოდ პოეზია, თუმცა თავის თავათ ცხადია, რომ პოეზია ხელოვნების ერთი დარგია და ამიტომ, რაც ითქმის ერთ დარ-




შვეიცარიის სოფელი მსოფლიო გამოფენაზე.

გზე, იგივე მთელ ხელოვნებაზე უნდა მართლდებოდეს. პოეზიის თეორია ჯერ-ჯერობით მეტათ გამოურკვეველ საგანს შეადგენს, ამის გამო ვერ ნახავთ ისეთ კრიტიკოსს ან პოეზიის თეორიკს, რომ თავისი კერძო აზრი არა ჰქონდეს პოეზიის შესახებ. ესტეტიკის თეორიის განვითარებაში ჩვენ ვხედავთ ორ მიმართულებას: მეტაფიზიკურსა და პოზიტიურ-ევიოლუციონურს. პირველი მიმართულების შემომტანი ესტეტიკაში არიან ფრანკ-ფურტის ფილოსოფოსი ბაუმგარტენი, რომელიც მე-XVIII საუკუნეში ცხოვრებდა და რომელმაც პირველმა შემოიღო სიტყვა „aesthetica“, ფიშერი და სხვები. მთავარი პრინციპი როგორც ბაუმგარტენის ისე ფიშერისა მათი საკუთარი, ორიგინალური

1) შექსპირის ადრეული კრიტიკოსია.

კი არ არის,—ერთიცა და მეორეც თავის გამოკვლევაში სხვა-და-სხვა ფილოსოფიური სისტემით ხელმძღვანელობდნენ. რადგანაც მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მოდაში იყო გეგელი, რომელიც ყოველგან და ყოველისფერში თავისი მეტაფიზიკური და თითქმის სრულებით გაუგებარი აბსოლუტური იდეის ლოღიკურ განვითარებას

ყენებულათ და არა ცხოვრებასთან და ადამიანთან დაკავშირებით. მეტაფიზიკთა აზრით ყოველი სახელოვნო ნაწარმოები თავის-თავათ უნდა იყოს სრული და უნაკლებლო მიუხედავად იმისა, თუ როგორ მოქმედებს ის მკითხველზე. მაგალითათ: შესაძლებელია, რომელსამე სახელოვნო ნაწარმოებს ყოველი მკითხველი აღტაცებაში მოჰყავდეს, მაგრამ მეტაფიზიკი ესტეტიკოსი მას ჩირათაც არ აფასებდეს; აგრეთვე შესაძლებელია მან ისეთი ნაწარმოები დასახოს ხელოვნების სიშვენიერეთ, რომელიც მკითხველის გულსა და გონებას არაფერს არ აძლევს. მეტაფიზიკა თავის განყენებულ აზროვნებაში დედუქციით ხელმძღვანელობდა, უარ-ჰყოფდა ფაქტების დაკვირვებასა და ცდას, იგონებდა დოგმატიურ პრინციპებს და ამ პრინციპებით ცდილობდა მსოფლიოს ახსნას. ამავე გზას დაადგნ მეტაფიზიკი ესტეტიკოსები. ყოველი მათი განმარტება ხელოვნებისა სრულებით დოგმატიურ მსჯელობაზე არის აშენებული. ამ გვარ თეორეტიკებს თავისი წარმოდგენლები კრიტიკაშიც ჰყავდათ. ასეთი არიან ნიზარი, ბუალო, ლევენდელი ბრუნეტიერი. პოზიტიურ გზას ხელოვნების გამოკვლევაში დაადგნ ლესსინგი, კანტი და განსაკუთრებით სპენსერი, რომელმაც თავისი ესტეტიკის პოზიტიური თეორია ევოლუციონიზმზე ააშენა.



ბელგის პავილიონი მსოფლიო გამოფენაზე.

ჰხედავდა, ფიშერმაც გეგელის აზრი ესტეტიკაში შემოიტანა და ესტეტიკა აბსოლუტური იდეის გამოხატულებით აღიარა. ასეთივე მეტაფიზიკი იყო ესტეტიკაში სხვათა შორის გიოტე. მეტაფიზიკური მიმართულება ესტეტიკის თეორიაში სრულებით ყალბია. მას მხედველობაში აქვს ხელოვნება გან-

აზრი ჰემმარიტების წინასწარმეტყველება არისო, უმატებს სპენსერი და თვით ჰემმარიტება კი ალბათმისი საკუთარი თეორია უნდა იყოს. სპენსერის თეორიით ესტეტიკური გრძნობა, რომელსაც ხელოვნება აღგვიძრავს, არის უბრალო თამაში, და არავითარი

2) Спенсеръ. Основанія психологіи 98 г. гл. IX.

მიზანი არა აქვს, გარდა სიამოვნებისა. თუ მივმართავთ ცხოველებს, დავინახავთ, რომ აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მათ მთელ დროს არ ართმევს. მათ კიდევ რჩებათ თავისუფალი დრო. თუ გონების რომელიმე ორგანო დიდხანს არის დასვენებული, ზედმეტის ძლიერებით მიისწრაფის მოქმედებისაკენ და თუ გარემოებამ ხელი შეუწყო, ნამდვილი, რეალური მოქმედების მაგიერ მისი მზგავსება, მისი იდეალური აჩრდილი ჩნდება. ამ გვართ წარმოდგება ყოველგვარი თამაში ანუ უმაქნისო და უსარგებლო ვარჯიშობა. მაგალითათ ვირთავვა რომ გალიაში დამწყვდიოთ, ის ყოველისფერს ღრღნის კბილებით, რაც კი რამ მოხვდება. კატა, რომელსაც თავის კლანჭები დღეს იმდენათ აღარ ჭირდება, როგორც გარყულათ ცხოვრების დროს, ხან-და-ხან წინა ფეხებს გამოაშვებს, გამოუშვებს კლანჭებს და სკამებსა და ხის კანს კაწრავს და სხვ. სპენსერს მოჰყავს აგრეთვე ძაღლების მაგალითი, კნუტის, ჟირაფის და სხვ. ასეთი უსარგებლო თამაში ცხოველის განვითარებასთან ერთათ თანდათან ვითარდება და ადამიანში კი ესტეტიურ გრძნობათ იქცევა; ამ ესტეტიურ გრძნობას ანუ თამაშს იწვევენ ადამიანში ესტეტიური ნაწარმოებნი, მაგრამ როგორც დაბალ საფეხურზე ისე მაღალზედაც თამაშს არავითარი მიზანი არა აქვს, გარდა სიამოვნებისა. თავისი ფსიხოლოგიის მეცხრე თავში სპენსერი მარტო იმას ამბობს, რომ ესტეტიური გრძნობა სიცოცხლის სარგებლობის მიზანს მოკლებულიაო, მაგრამ სხვა ნაწერებში, მაგალითათ „სარგებლობა და შვენნიერებაში“, ამ აზრს აფართოვებს და პირდაპირ და სრულებით დაუმტკიცებლათ ქადაგებს: სარგებლობა და ხელოვნება სრულებით შორი შორს არიანო. ამ გვარივე აზრის არის შესანიშნავი კანტიც და მთელი ვგრეთ წოდებული კრიტიკოსთა სკოლა. სპენსერის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ პირადი სიცოცხლის სარგებლობა და საზოგადოებრივი სარგებლობა ერთი-მეორისაგან ძალიან დაშორებული არიან; შედარებაც კი შეუძლებელია მათ შორის. შეიძლება რაიმე მოქმედება კერძო სიცოცხლისათვის სრულებით უსარგებლო იყოს, საზარალოც კი, მაგრამ ამავე დროს საზოგადო ცხოვრებაში სარგებლობა მოჰქონდეს. რომელიმე მილიონერის სიცოცხლისათვის სულ ერთია, შეწირავს თუ არა თავისი სიმდიდრის ერთ ნაწილს რაიმე საქველმოქმედო საქმეს; მაგრამ მათთვის, ვის ინტერესსაც ეს საქმე წარმოადგენს, სულ ერთი არ არის. რომელიმე უაიტის სიცოცხლისათვის სურ ერთია, მოიგონებს თუ არა ის ორთქლის ქვაბს; მაგრამ კაცობრიობისათვის კი სულ

ერთი არ არის: ორთქლის ქვაბი რომ დღემდე გამოეგონებიათ, დღევანდელი ევროპაც ის არ იქნებოდა, რაც ახლა არის და სხვ. და სხვა. ხელოვნების საგნათ სპენსერი შვენნიერებას სახავს და რადგანაც მისი აზრით შვენნიერება და სარგებლობა ერთი-მეორეს არ ეთანხმება, ის, ვისაც სარგებლობა მიზნათ დაუსახავს, ამით შვენნიერებას უარყოფს; ამიტომ ხელოვნებამაც სარგებლობას თავი უნდა დაანებოს. ბურჟუაზული ფილოსოფოსის ასეთი აზრი და ადამიანის ინტერესთა აბუჩათ აგდება მე სრულებით არ მაკვირვებს, რადგანაც მჯერა, რომ კლასისიური ფსიხოლოგია და კლასისიური ინტერესებით დაბრმავება ადამიანს, რა ნიჭის პატრონიც უნდა იყოს, ბევრ სიყალბეს ჩაადენინებს საბრალო ობიექტიური ქემმარტების სახელით; ხოლო ვასაოცარია, სადამდის მიიყვანა სპენსერი თავისმა თეორიამ; ის ამტკიცებს: კონტრასტი შვენნიერების აუცილებელ პირობას შეადგენს, და რადგანაც კონტრასტი უფრო წარსულშია, ვიდრე აწმყოში, ამიტომ ხელოვნებამაც აწმყოს თავი უნდა დაანებოს და თავის საგნათ წარსული გაიხადოსო. კიდევ იღბალი რომ ჩვენი წარსულის ჭირისუფალი მწერლები სპენსერს ნაკლებათ იცნობდენ, თორემ თქვენი მტერი: მარტო წარსულის გლოვაში ამოხდებოდათ სული! სპენსერის ესტეტიური თეორია დღეს ყველაზე უფრო გავრცელებულია; გავრცელებულია იმიტომ რომ დღეს დიდსაც და პატარასაც, მეცნიერსაც და უბრალო მომაკვდავსაც ენაზე ევოლუციონიზმი აკერია; ყოველგან ევოლუციას ხედავენ, ყოველისფერში ევოლუციონიზმის გამორკვევა უნდათ და, რადგანაც სპენსერმა თავის თეორია ევოლუციონიზმის კანვაზე მოჰქარგა, ეს ფაქტი სრულებით საკმარასია, რომ მისი თეორია უტყუარ მცნებათ აღიარონ. როგორც ზემოთაც დავინახეთ, სპენსერის თეორიაში ორი მთავარი მუხლია: I ესტეტიური ნაწარმოებნი ანუ ხელოვნება აღძრავს ადამიანში ესტეტიურ გრძნობას; II ესტეტიური გრძნობა უსარგებლო თამაშია, რომლის პირდაპირი მიზანი ესტეტიური სიამოვნება არის. თუმცა აქედან სპენსერს პირდაპირი დასკვნა არ გამოჰყავს, მაგრამ მკითხველისათვის ცხადია, რომ ამ ორი მუხლიდან მხოლოთ ერთათ ერთი დასკვნაა შესაძლებელი, ის რომ ხელოვნება ადამიანს უმთავრესათ ესტეტიურ სიამოვნებას აძლევს. თუმცა, სპენსერი დიდი და სახელ მოხვეჭილი ფილოსოფოსია, მაგრამ ჩვეულებრივ მომაკვდავს მისი ესტეტიური თეორია შეცდომათ მიმაჩნია. ჯერ ერთი ფიზიკურ თამაშსა და მწერლის გონებრივ მუშაობაში, როცა ის ხელოვნურ ნაწარმოებს ქმნის, ან მკითხველის გონებრივ პროცეს-

ში, როცა ის ხელოვნურ ნაწარმოებს კითხულობს, არავითარი მზგავსება არ არის. მართალია, სპენსერმა ადამიდან დაიწყო და შორს გამოუნახა საფუძველი თავის თეორიას, როდესაც კატასა და ძაღლებს მიმართა, მაგრამ იმის დამტკიცების ნაცვლათ, რომ კნუტის თამაში და ვირთავისაგან ხის ღრღნა ადამიანის ხელოვნების ან ესტეტიურ გრძობათა პროტოტიპია, მან ცალიერი ანალოგიების მეტი არა მოგვეცარა. საზოგადოთ სპენსერს ანალოგიები ძალიან უყვარს. მთელი მისი სოციოლოგია ამ ანალოგიებზე არის აშენებული. ამ ანალოგიების მიხედვით აღიარა მან საზოგადოება ორგანიზმით, პარლამენტი სოციალური ორგანიზმის ტვინათ და ტელეგრაფის მართულები ნერვებით, მაგრამ თვით ეს მაგალითებიც ცხადათ გვიჩვენებენ, რომ ანალოგიებით არაფრის დამტკიცება არ შეიძლება, გარდა საკუთარი თვალთმაქცობისა. „მოქმედებანი, რომლებსაც თამაშს ვუწოდებთ, ესტეტიურ მოქმედებებს იმ საერთო ხაზით უერთდებიან, რომ არც პირველი და არც მეორე არ ეხმარებიან პირდაპირ იმ პროტესტებს, რომლებიც სიცოცხლისათვის არიან დანიშნულნი“, წერს სპენსერი³⁾; მაგრამ ნუ თუ ასეთი ზოგადი მზგავსება საკმარისია, რომ ხელოვნებისა და თამაშის სათავეთ ერთი და იგივე იმპულსი აღვიაროთ? ასეთი მეთოდით ყოველგვარი უმზგავსოების დამტკიცება შეიძლება; მაგალითათ,—კობერნიკის, ნიუტონის, დარვინის სამეცნიერო მუშაობა სრულებით არ ეხმარებიან იმ პროცესებს, რომლებიც სიცოცხლისათვის არიან დანიშნული; ამგვარათ მათაც ჰქონიათ საერთო ხაზი თამაშთან; მაგრამ ნუ თუ ამ მეცნიერთა მუშაობასა და თამაშს ერთი და იგივე სათავე აქვსთ? კნუტის თამაშობიდან რომ ვინმე მკვლევარი თანდათანობით ხელოვნებამდე მივიდეს, შეუძლებელია, რადგანაც ერთი მხრით თამაშობა და მეორე მხრით ხელოვნება სრულებით სხვადასხვა გვარი პროცესია. შეიძლება მათ შორის, რაიმე ანალოგიური მზგავსება იყოს, მაგრამ მათი სათავე ერთი და იგივე არ არის. თამაშია ფიზიკური პროცესი, ხელოვნება კი აზროვნებითი, ფსიხოლოგიური. მეცნიერება ჯერ არ არის იმდენათ განვითარებული, რომ ცხოველთა საზოგადოებაში და ბუნებაში აღმოაჩინოს ყოველივე იმის ნიშნები რაც ადამიანის ბუნებაში და საზოგადოებაში არსებობს. ევოლუციონიზმს, როგორც მეთოდს, შეუძლია ადამიანთა ცხოვრების ბევრი საიდუმლოების გამორკვევა, როცა ის ადამიანთა ისტო-

რიის ან ისტორიის წინა დროთა საზღვრებს არ ცილდება, როცა დღევანდელი ცხოვრების სათავეს ველოური ადამიანის ცხოვრებაში ეძებს; მაგრამ როდესაც ის ადამიანს თავს ანებებს და პირუტყვს მიმართავს, რომ აქ დაგვანახოს ყოველივე იმის ნიშნები, რაც ადამიანის ფსიხიკაშია, ამ შემთხვევაში ევოლუციონიზმი დღეს დღეობით უძლეურია. ექვს გარეშეა, თუ კი ადამიანი მხოლოთ უმაღლესათ განვითარებული ცხოველია, რისი უარყოფაც აღარ შეიძლება, მის ფსიხიკის ელემენტები პირუტყვის ფსიხიკაშიც უნდა იყოს, მაგრამ რომელიმე კნუტსა და ადამიანს შორის იმდენი განსხვავებაა; რომ ამ ელემენტების პოვნას მეცნიერებამ ჯერ-ჯერობით თავი უნდა დაანებოს.

ი. გომართელი,

პატარა ყარამანიანი

კარი მორე

(აქა კუკუ-მდევის ისტორია და სხვა მდევისა შესახებ).




იღრე ოდენ კუკუ-მდევისა გალაშქრებასა ვიამბობდეთ, გთხოვთ ფირმანი მიბოძოთ რომე მისი გამოქინქლებაცა გამცნოთ.

მას ჟამსა, ოდეს მდევთა ილბუზი დაიჭირეს მუნ ყარამანი მხართეძოზე დაესვენა და მდევნი გარემო მისსა მიეცნენ ზარსა და

ზეიმსა; ხოლო გმირთა გმირი ყარამან ყარდაში კი ბურნუთითა შეექცეოდა და მისსა ცხვირისა ცემინებაზე მდევნი დავლურსა თამაშობდენ. ერთხელ, როდესაც ყარამანმა ბურნუთი ითავაზა და მეყვსეულათ ცხვირსაცა დააცემინა მისსა ცხვირისა ნესტოთაგან პატარა რამე ქინქლი იშვა და ქინქლი იგი კაცისა სახით ყარამანისა წინ გამოიჭიმა და ფლაფანსა ასე შესძახა: — „ეი ფლაფანო, მე ვარ ქინქლი, რომელსა სახელათ კუკუმდევი მეწოდების, აქნობამდის თქვენსა ბურნუთისა კოლოფში ვიჯექ და როდესაცა თქვენ ცხვირს აცემინებდით მე ღვთისა წყალობასა მოგახსენებდითო. მდევთათვის ბურნუთისა შემზადებაცა დიახ კარგათ ვიციო. მოვედ მსახურად თქვენდა და აწ რაც გნებათ მიბრძანეთო.“ ყარამანსა ფრიად გაეხარდა ნახვა კუკუსი, მოეწონა მისი ესრეთი ხელოვნება და ნიშნათ მოწყალებისა ორჯელ ყურებითაც ასწია.

³⁾ Основания психологии. 98 г. ст 413.



მაშინ კუკუმ სხვა მღვეთ ნიშნის მიგებით გვერდზე ჩაუხველა და თქვა ლექსი ასეთი:


ყარამანო, მძლეთა-მძლეთა,
გთხოვ, ფირმანი მიბოა'ეო,
თუ ჰუნარა ვერ გიჩვენო
დაუბნელდეს კუკუს მზეო.

ამა სიტყვებისა შემდეგ კუკუ ჰაერში რამდენჯერმე „სარტალ-მორტალს“ გადავიდა და ისევ ყარამანისა წინ ჩაიჩოქა, მაშინ ყარამანმა კუკუს^ა შუბლზე წარსცხო ნერწყვი პირთაგან თვისთა და ფირმანათა ცა წვივთაგან თვისთა პატიკი უბოძა, რომლისა შემდგომათ თქვა: „აწ განუტევე მონა შენი უფალო, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვრება კუკუსითა“. ამიერიდან კუკუ შეიქმნა ყარამანისა პატიკისა მპყრობელათ და მორჩილებისა ნიშნათ სხვა მღვეთაცა მას ილლიასა ქვეშე თავები ამოუწყეს. პატიკი ესე ანუ ფირმანი, რომელიც კუკუმ ყარამანისაგან მიიღო მღვეთა ენაზე იწოდებოდა აგრეთვე ორლანიანათ. იგი შედგებოდა ყარამანისა შიგნიტიკურისაგან და გარშემო მღვეთა თმებით იყო ნაქსოვი. მიიღო რა კუკუმ ფირმანი იგი მაშინვე შიგან მოეთავსა და მიერიდან იწყო იქ მღვეთათვის ბურნუთისა მზადება. ხოლო ამისა გარე კუკუმ კიდევ მოიქმნდა საქმე ღიას სამღვეო. მან სავექილო „ულოჟენიე“ თავისა ქალაზე კოტოშათ მოიკიდა და ესე თავიცა იმავე „ორლანიანში“ მოათავსა.

მას ეამსა ოდეს ყარამანსა ჯადოქართან ომი აუტყდა კუკუმაცა ნარა გასწია და, რა ოცდაათსა წყრთაზედა შეხტა, ყარამანისა ჩახსაკრავსა ჩამოეკონწილა, სხვანი მღვენიცა მის ილლიასა ქვეშე შერჩნენ და ასე ეკიდა მღვეთა კუნწულა ყარამანისა ჩახსაკრავზე. მაშინ კუკუმან მომართა საგანგაშო იგი ორლანიანი და თქვა „პესნა“ ასეთი:

„პესნა“ პირველი.

ტუდი-სუდი ორლანო
ოქროს ფეხ-თავიანო
საცა ქერს დაგიყრიან
იქვე დაგაბმიანო.
საიდანღაც ჯადოთი
მტერი მოგვდგომიანო,
მღვეებს ძილა დაუფროხეს
ჩანს, რომ ძირს გვითხრიანო.
მაგრამ კუკუს კუკუმღვეთ
თუ „პესნა“ ვაგვიანო,
მუხლსა შენსა ამბორს ვყოფ,
ჩვენო ფარ-ხმალიანო,
თითთა შენთა ვაკოცებ
ჩვენო „ახალ გზიანო“,
აბა ერთი მ'ყურეთ



როგორ დავიბზრილო;
ერთის დაკვრით ორლანში
ჯადო გაეტილო.
შენ რომ საყვირს ჩაბერავ
მე აქ დავიწკმუტუნებ,
შენ რომ ღიმი მოგივა
მეც ძალათ ვიღუტუნებ,
ხან თუ „ვიჩიორავებ“
ხანდისხან ხომ ვღრუტუნებ.

გაათავა რა პესნა კუკუმან ყარამანსა ძრიელ გაეხარდა და მეყვსეულათ ყურებით ასწია. მაგრამა მღვეთა სიხარულს სამზღვარი აღარა ჰქონდა როდესაცა კუკუს ყაყიბგუმისა მთიდან დესპანი მოუვიდა, რომელიცა იყო წარმოგზავნილი იმა მთაზედა მცხოვრებელი კიკამღვეის მიერ, რომლისა მეორე სახელი არის „აბდა-უბდა“, ხოლო იგი მღვეი თხოვდა დესპანისა პირით კუკუსა ორლანიანში თავი ჩამაყოფინე საპესნათო. უნდა მოგახსენოთ რამე მღვეი იგი აბდა-უბდა წარმომდგარი იყო ყარამანისა რქისა შტოისაგან, მისისა ორთქლისა ღრუბელსა შეადგენდა. და მასაცა „ულოჟენიე“ კეფაზე კოტოშათა ჰქონდა მოკიდებული. მიიღო რა დასტური კუკუსაგან მანცა ნარა ვასწია და თქვა „პესნა“ ასეთი:


„პესნა“ მეორე.

„აბდა-უბდა, გადასკუბა“.
ტრალა ლა ლა ლა!
დავლურ-ტრეპაკა
ეგ ჯადოსანნი
მეგონა კაკა.
თავზე „გალოში“ ქუდათ დამხურეს
მიხდება კიდევ, როგორ გგონია!
ზაფხული არის ბუზი მ'გონა
და ოფოფები თურმე მყოლია.
ერთს თქვევ გიგზავნით ორლანიანში
მე აქ ვთამაშობ დაჰკარით ტაში,
ჩვენ ვინ შეგვწვდება მაღლა ზეცაში
მაშ კვლავ ვიმღეროთ იარალაში!

ყარამანი ამა პესნაზე ისეთსა სიხარულსა მიეცა რომე თვალთაგან ცრემლი გადმოუგორდა და მღვენი სამზარეულოში ჩაუშვა. აქ მათთვისა მზადდებოდა ოთხი სპილო და ათი აქლემი. ისინი ფალანისა ხარისხისაებრ ჩამორიგდენ, თამადათა ბარამჯიბილი ამოირჩიეს და ესრე მიეცნენ რაყიფობასა. გულისა გასამხიარულებლათ ბარამჯიბილმა უბრძანა სამსა მღვეთაგანს ემღერნათ საამო რამე და მათაცა თქვეს პესნა ასეთი:

„პესნა“ მესამე.

სანადიროთ როცა წავლენ
ყარამან და ძმანი მისნი
ჩვენ გოშიათ თან მივყვებით



ნათლულნი ვართ უსუბისნი,
ზოგი წკმუის, ზოგი ჰყეფავს,
ზოგი ღრინავს, ზოგი ღმუის;
კუკუ წკუპლით გვადგას რაგზე
ვაი იმას ვინცა ტყუის.

გაათავებს რა „პესნა“ მღვებმა ბარამჯი-ბილსა მერიქიფემ მეყვსეულათ ორჩაფიანი ღვი-ნისა ქიქა აუვისო. მანცა აღიღო რა ქიქა ხელში დასწვდა არტალასაცა, ხოლო კუკუმან ამ ღროს თავი ორღანანში ჩაჰყო, რადგანაცა შეეშინდა რომე ამა არტალის „ულოჟენით“ რამე „ნაკახანიე“ არ შემხვდესო. უნდა მოგახსენოთ რომე ბარამჯიბილსა და ამა კუკუსა შორის იღუმალი მტრობა და შური სუფედდა. მოათავსა რა ალაგსა თვისსა არტალა ბარამჯიბილი ახლა ფეხზედა წამოდგა, გარდავლო თვალი მღვება კამბანისა, მცირე „ცერემონია“ გასწია და თქვა რეჩი ასეთი „აი, მღვე-ნო რა მღვეთავანო, სმენა და გაგონება! მე კარ-გათ ვიცნობ ჯადოსანთა და ყოველი მათი ქან-ქანებაცა ვიცნო. გულმან ჩემმან, ვფიცავ ყარდა-შისა პაქიქსა რომე თვითოსა ჩვენთავანსა ას-ასი მათი არ ეკმარებოსო. ყარამანისა აბჯრისა ჩხრიალმა მათ რეტი გაუჩინა და ლახტმა მისმა ჯადო იგი ქამ-რამდ-ს მიწაში დაფლა. მაგრამ ფთხილათ იყავით, მოუსვენარია ეშმაკეული იგი, გამაგრდით შვილნო ორღანანისანო. შენ, კოქლო მღვეო, იმ ოქროსა მთაზე იყარაულე, მე ყარამანისა წამწამსა ვუგრი-ლებ, ხოლო დანარჩენმა ფალეგანებმა გარშემო უარეთ, ფუ ეშმაკო, ფუ ეშმაკო, ფუ ეშმაკო, ხე-ლიც იმათკენ პირიც იმათკენ, ხოლო გაუმარჯოს ჩვენსა მძლეოთა მძლე ყარამანს, და ასე მტერი დაუ-ცალოს!“ ურა! შესძახეს დანარჩენმა მღვეებმა და ხელიდან ხელში გადადიოდა სასმელი იგი. მაშინ კუკუმდგვი წინ გამოხტა და ალახ-მალახოს ჰანგე-ბზე დაიწყო თამაში, ხოლო სხვა მღვეთ რაყიფო-ბას უმატეს და თქვეს კვლავ პესნა ასეთა:

„პესნა“ მეფათხე.
(პაპური)

მაქო მქვიან გაქოსა
ომში წავალთ შამქორსა,
არუნანო, თარალო
წვერიანო და ქოსა!
ქვეყანაზე არვინ არის
ფალავანი ჩვენსა გარდა,
ეშმაკს ყუზზე ხელი ვტაცეთ
ჯადოს ვადებხადეთ ფარდა;
ტანი რომ მიწას გავართხით
თავი იქით ვადავარდა.
ჯადოქართა რაზმსა ხედა
ყარამანმა ინავარდა,

გაუმარჯოს კოქლსა მღვესა,
ბარამჯიბილს ნახუქ-ქადა;
იალბუზზე წყალი დაშრა
კუკუ მაინც ისევ ჰყეჟამდა,
ლახტი კარებს გვიყუღდა,
კარებს უკან ხმლისა ვადა.

ი. ევლოშვილი.

„ახირეტიული პრეტენზია.“

ო. ვ. წ. ჩვენ წერილს მეტათ გაუჯავრებია; კიდევ კარგი, რომ მხოლოთ სამი-ოთხი თვის შემ-დეგ გამოილაშქრა „ივერიის“ მეცნიერმა „უვიცო-ბის გამო“, თორემ, თქვენი მტერია, მეტათ საგრ-ძნობელი იქნებოდა მისი რისხვა. ახლა კი მისმა ყუმბარამ გვერდზე ჩაგვიარა, ვნებით კი არა უენი-არა. გადარჩენისათვის პარაკლის ვიხდით და „ივე-რიის“ მარქსისტს (შეუთანხმებელია ეს ორი სიტყ-ვა!) ცოტა რამ მარქსისტულ შენიშვნებს მოვახ-სენებთ. ბ. ვ. წ.—ს ვერ გაუგია, რატომ ნოე ჟორ-დანიამ მას ა. წულუკიძე „მიუტია“ (შვენიერი ზრდილობაა) და თვითონ არ უპასუხა. მოვაგო-ნებთ ბ. ვ. წ.—ს, რომ პრინციპიალურ დავაში ჩარევა შეუძლია არა მარტო იმას, ვისიც წერილი ირჩევა, არამედ ყველას, ვისაც კიანხვა აინტერე-სებს და აზრის გამოთქმის სურვილი აქვს. ასეთია ლიტერატურული ჩვეულება, მეტათ საჭირო და საპატიო, ბ-ნო ვ. წ. მასვე უკვირს ჩვენი გაფრთ-ხილება, რომ პოლემიკიდან ლანძღვა-თრევა განვ-დევენოთ და სავანზე ვიბასოთ მეტქი, „კვალისტე-ბი“ უფრო არ ილანძღებიანო! მე ხომ ა. წულუ-კიძე ვახლავარ, ბ. ვ. წ., და თქვენ ამ შემთხვევა-ში მხოლოთ ჩემთან გაქეთ საქმე. განა სხვისი ლანძღვა-თრევა თქვენი მისაბაძავი უნდა გახდეს?!. „არაფერი დასაქადებელია, განავრძობს ჩვენი „მწრთენელი“ „რომ ჩვენს წერილში უწმაწურ სიტყვებს ადგილი არ ექნებაო“, მერე, ვინ იქა-დის?!. განა ქადილია, როცა ამნაირ წინადადებას ვაძლეე მოკამათეს: ნუ ვილანძღებით, ღინჯათ და ზრდილობიანათ ვიბასოთ-თქო. საკვირველია, რომ არ იცით ის რასაც ჩადიხართ. თქვენ არ იცით რა არის ქადილი, მხოლოთ ქადილობათ კი. აი მაგ. წერილის დასაწყისში როგორის რიხით გვეუბნება ბ. ვ. წ. ნოე ჟორდანიას უკან ჩამოდგა და მომის-პო საშუალება დამემტკიცებინა, რომ მას არავი-თარი სერიოზი განათლება არ მიუღია და თვით იმ მეცნიერ-ებაშიაც კი, რომლის ზედ მიწვენიოთ ცოდნის „ღიპლომი“ მიანიჭეს, არა გაეგება რა. აი ქადილი ეს არის: იმას იჩემებთ, რაც არ და-

გიმტიცებიანთ ჯერ. ალბათ ვ. წ—მა თავის-და შეუმჩნევლათ წამოიქადა. ტყუილათ კი არ თქმულა: ხარი ხართან რომ დააბა ან ფერს იცვლის ან ზნესა; ბ. ვ. წ—მა ეს ჩვეულება, ექვი არ არის, „ახალმოსულისაგან“ შეითვისა; ეს უკანასკნელიც ხომ გაიძახოდა: ნოე ჟორდანიას „გავაგრძელებ“, „გავაპრტყელებ“, „გამოვშიგნავ“ და „გავიგორებთო“. სახიფათო ოპერაციაა, მკითხველო, თუ თქვენც დამეთანხმებით, და იმისთანა ასისენტი, როგორც ვ. წ—ა ძლიერ საჭიროა ამისთანა დროს. დამიმტიცეთო, მეუბნება ბ. ვ. წ., რომ მე ვილანძლები, ამისხენით რას ნიშნავს „თავდაქერილი ლანძღვა“ ან სად გაგონილა ასეთი სიტყვების შეერთება?! დამტიცება ადვილია: თქვენი აღსარებიდან მოვიყვან; „ივერიის“ მე 71-№-ში, თქვენ აღიარებთ: მართალია მას (ე. ი. ნოე ჟორდანიას) თავსედი ვუწოდებ (კურსივი ყველგან ჩვენია), მაგრამ... ეს მაგრამ ჩემთვის სრულიად სავალდებულო არ არის, ეს ფაქტის ახსნაა; ფაქტი კი ფაქტათ რჩება და მე ეს ლანძღვათ მიმჩნია! ესეც კმარა. მე მოვალე არა ვარ თქვენი გაფანტული მარგალიტები ვბოჭო და უკანვე გიბრუნოთ, თუ მოგწონთ თქვენვე მონახეთ. მეორეს ახსნა კი უფრო მეძნელება, გამოგიტყდეთ. „თავდაქერილი ლანძღვა... თავდაქერილი ლანძღვა“... მართლაც არსად გამოგონია და არც წამიკითხავს; მაგრამ მე მაინც ვიხმარე ასეთი ორი სიტყვა ერთათ, რომელიც სხვას არ უხმარია. ეს ჩემი პატარა აღმოჩენაა და ამისთვის თუ დამსჯით წამებულის სახელს დავიმსახურებ. ვ. წ. ბრძანებს: „გადავიდეთ „კვალის“ მეცნიერთან (?), რომელმაც „კვალის“ ფურცლებზედ დამტიცა—უკანრავთ ამ სიტყვისათვის—თავისი უშეცდობა. („ივერია“, 70). თუმცა „უწმაწური“ სიტყვა თქვით, მაგრამ „უკაცრავათ“ დაატანეთ; აი ამას ვეძახო, თუ ვნებავთ, „თავდაქერილს“ წინანდელთან შედარებით. ჩვენი მხრით ვკითხავთ ბ. ვ. წ—ს: სად გაგონილა „ბროლივით მჭვირვალე ლიტერატურული სინაზე—სიფაქიზე!!!“ „პოეტი იქნება, უეჭველია“ ეს მოკლე შესავალი იყო, ეხლა საკამათო საგანს დავუბრუნდები.

დავიწყეთ ბ. ვ. წ—ს სიტყვებით: „იგი (ე. ი. მე) ბრძანებს, რომ ბ-ნი ნ. ჟორდანიას „მიწას იმდენათ შეეხო, რამდენათაც ეს ფეოდალურ წეს-წყობილებას ახასიათებსო“. ფეოდალური წეს-წყობილება რომ შეიძლება დავუპირდაპიროთ კაპიტალისტურს, ამას ვერავინ უარს ვერ ჰყოფს. მიწას რომ „იმდენათ შეეხო, რამდენათაც ეს ფეოდალურ წეს-წყობილებას ახასიათებს“, ცხადია, არც არავინ ამისთვის დაგძრახავთ, მაგრამ აქედან ის კიდევ არ მტიციდება, „რომ მიწას ყოველთვის (?) და აუცი-

ლებლათ (?) ისე უნდა შეეხო, როგორც ეს ახასიათებს ფეოდალურ წეს-წყობილებას“ და მამული „მხოლოდ (?) ფეოდალურ ხანაში ყოფილიყოს“. მერე, ვინ მოახსენა ბ. ვ. წ—ს, რომ „მამული მხოლოდ ფეოდალურ ხანაში ყოფილიყოს“, რომ „მიწის საკუთრება წარმოადგენს უცვლელ-ასსლფიუტს და სხვა-და-სხვა გვარი არ არის სხვა-და-სხვა ვითარებისა“?! თქვენ ხომ თანახმა ხართ, ბ. ვ. წ., რომ შეიძლება დავუპირდაპიროთ ფეოდალური წეს-წყობილება კაპიტალისტურს, თანახმა ხართ, რომ „მიწას იმდენათ შეეხო (ბ. ნ. ჟორდანიას), რამდენათაც ეს ფეოდალურ წეს-წყობილებას ახასიათებს“, თანახმა ხართ რომ „საზოგადო ორგანიზაცია, მიწაზე აღმოცენებული, სხვა იყო... ფეოდალურ ხანაში და კაპიტალისტურ ხანაში?!. რაში იყო ეს განსხვავება? იმაში, რომ „ფეოდალურ ხანაში“ სოციალურ ურთიერთობას საფუძვლათ მიწის საკუთრება ედგა, მიწა და მასზე დამკვიდრებული ბატონ-ყმობა იყო მაშინდელი ცხოვრების შინაარსი, მთელი პოლიტიკური და იურიდიული წყობილება მით განისაზღვრებოდა და სულდგმულობდა. მოკლეთ რომ ვთქვათ იმ ხანაში მამული იყო უმთავრესი ცხოვრების ძარღვი, მისი მეტ-ნაკლებობით მისი პატრონის უფლება-უპირატესობაც განისაზღვრებოდა. კაპიტალისტურ წყობილების დროს „მამული“ ჰკარგავს თავის „პირვანდელ“ ძალას, სიმდიდრე საქონლის რაოდენობით განიზომება, ყველაფერი ფულით იზომება, თითონ მამულიც საქონლათ იქცევა; თვით მოზარდი (Самовозрастующая стоимость) ღირებულება არის ნიშნობლივი თვისება ახალი ხანის, კაპიტალი ხდება ცხოვრების მამოძრავებელი და სხვა დროის წარმომადგენელი. აი რა აზრით შეიძლება „მამულისა“ და „კაპიტალის“ დაპირდაპირება. „მამული ყოფილა ყოველ ისტორიულ ხანაში, კაპიტალი კი არაო“, გვეუბნება ბ. ვ. წ. მაგრამ დღევანდელი „მამული“ სხვა სახისაა, იგი თვით კაპიტალის ნაწილი ხდება და როგორც ამგვარი ფეოდალურ ხანის მამულს უპირდაპირდება. მას დღეს საცვლელი ღირებულება აქვს, გუშინ კი მხოლოდ სახმარი ღირებულება ჰქონდა.

„...შეიძლება თქვათ, რომ უწინდელი დრო მით განირჩევა თანამედროვესაგან, რომ მაშინ მიწის მუშაობას მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე მრეწველობას, ახლა კი, პირიქით, მრეწველობა უპირატესობასო“... ასე გვისწორებს შეცდომას ბ. ვ. წ. გვაძლევს ნებას შევადაროთ და დავუპირდაპიროთ „მიწის მუშაობა“ „მრეწველობას“! რას ნიშნავს „უწინდელ დროში... მიწის მუშაობას მეტი მნიშვნელობა ჰქონ-

და?“ მგონი იმას, რომ მიწას მეტი მნიშვნელობა ჰქონდა სხვა იარაღებზე, რომ მაზე იყო დაფუძნებული მაშინდელი სოციალური წყობილება, სოფლის მეურნეობა იყო უმთავრესი დარგი წარმოებისა; მაშასადამე ყოფილა ისეთი დრო, როცა მამული იყო უმთავრესი ძარღვი ცხოვრებისა. ეს ხანა იყო, ვთქვათ, ფეოდალური. რას ნიშნავს „ეხლა კი წინააღმდეგ მრეწველობა უპირატესობსო?“ რა არის მრეწველობა? საქონლის წარმოება. რას ნიშნავს საქონლის წარმოება? კაპიტალის გამეფებას; მაშასადამე დღეს ისეთი დრო დამდგარა როცა კაპიტალი მეფობს, კაპიტალია აწინდელი ცხოვრების მამოძრავებელი ძარღვი. მაშასადამე ყოფილა ხანა „მამულისა“ და არის ხანა „კაპიტალისა“, როგორც ფეოდალური და კაპიტალისტური წყობილების დამახასიათებელი. ასეთია ლოდიკური დასკვნა ბ. ვ. წ—ს მიერ ნება-დართულ აზრისაგან, ამიტომ, ვუცხადებთ ბ. ვ. წ—ს, რომ, მისი რჩევისამებრ, „მოვიპოვეთ მოქალაქეობრივი სიმამაცე, ვტყდებით და აღვიარებთ, რომ ასეთი დაპირდაპირება“... სრულიად სამართლიანია. ეხლა თქვენც მოიპოვეთ, ბ. ვ. წ., ამნაირი სიმამაცე!

„კაპიტალი და შრომა! აქაც შეუძლებელია მსგავსების ან განსხვავების ნახვა“, ვამბობდი მე. ამის წინააღმდეგ გამოილაშქრა ბ-ნმა წულუკიძემ და მთელ ლექციას მიკითხავს. იგი გვასწავებს. აქ, რომ შრომა თავისთავად „თავის ბუნებრივ არსებობაში არ არის სოციალური მოვლენა, მაგრამ ამასვე აღვიარებდი მეც ჩემს წერილში. ბ) რომ განყენებულ შრომას სოციალური ხასიათი აქვსო, სწორეთ ამას აღვიარებდი ხსენებულ წერილში“. ერთი სიტყვით ბ. ვ. წ—სა და ჩემს შუა საბოლოემიკო არაფერია! მაგრამ, დახე ვ. წ—ის „სიჩაუქეს“. იქაც ახერხებს, სადაც მოუხერხებელია პოლემიკა და ერთ დიდ ფელეტონსაც აცხობს. დაუბრუნდეთ მაშ ისევ „ჩვენს უთანხმოებას“. მოვიგონოთ ზოგიერთი ადგილები მისი წინანდელი წერილებიდან. „კაპიტალია სოციალური მცნება, შრომა კი ერთგვარი ბუნებრივი მოვლენაა, კაცის ფიზიოლოგიურ ძალთა თამაში“. („ივერია“ 70). ამიტომ, ბ. ვ. წ—ის აზრით შეუძლებელია სოციალური მოვლენის—კაპიტალის, ფიზიოლოგიურ მოვლენასთან—შრომასთან შედარება: მაგრამ შესაძლებელია კიდევ, როგორც თვით ბ. ვ. წ. აღიარებს, სხვანაირი, განყენებული შრომა, რომელსაც სოციალური ხასიათი აქვს, მხოლოდ აქაც შედარება და დაპირდაპირება შეუძლებელია, გვასწავლის ბ. ვ. წ., რადგან განყენ-

ბული შრომა სააღებ-მიცემო ღირებულებაა და სააღებ-მიცემო ღირებულება კი შეიძლება თვით იყოს კაპიტალი და არამც თუ იყოს, არამედ სააღებ-მიცემო ღირებულება არის ნიშნობლივი თვისება კაპიტალისტური წეს-წყობილებისა“. ერთი სიტყვით შრომა, როგორც სოციალური მოვლენა არ შეიძლება დაუპირდაპირდეს კაპიტალს, ბ. ვ. წ—ის აზრით, აისწორეთ ამის წინააღმდეგ ვიტყვით ეხლაც. ჩვენ წინანდელ წერილში იმ აზრის დასამტკიცებლათ, რომ სააღებ-მიცემო შრომისა და კაპიტალის დაპირდაპირება შესაძლოა, მოვიყვანე კ. მარქსის „კაპიტალის“ მესამე ტომიდან ერთი ადგილი, რომელიც ბ. ვ. წ—ს არაფრათ ებიტნა და ჩვეულებრივი დარბაისლობით გვასწავებს: „უნდა გვახსოვდეს, რომ „კაპიტალის“ მესამე ტომი შეუშუშავებელი დარჩა მარქსს და ამიტომ ამ ტომის ყოველი ფრაზა შეურყვევლ ქეშმარიტებათ არ უნდა მივიჩნიოთ“. გვჯერა და აღვიარებთ, მხოლოდ თქვენც უნდა გხსომებოდათ ეს როცა იმავე ტომიდან ბჭირივით აყრიდით მკითხველს ციტატებს და გამოურკვევლათ განაგრძობდით: მაშ აქედან ეს დასკვნა უნდა გამოგიყვანოთ. მე თვითონ მოგახსენეთ აქა-იქ ამონაგლეჯით რისამე დამტკიცება ძნელია თქო და ახლა კი თქვენვე გვმოდღვრავთ ამნაირათ. ყოველ შემთხვევაში ვნახოთ რა მოსახრება მოჰყავს იმ ციტატის შესახებ. „მაშასადამე აქ თვით მარქსი (სწორეთ რომ „თვით მარქსი“) უპირდაპირებს ერთმანეთს კაპიტალსა და შრომას (sic). მაგრამ ბ. ა. წულუკიძე, ნუ თუ შრომას ყოველთვის უთუოთ ისე უნდა შეხედოთ, როგორც საქირაო შრომას?“ ვინ მოგახსენათ, ბ. ვ. წ. რომ „შრომას ყოველთვის ისე უნდა უყუროთ, როგორც საქირაო შრომას?“ განა მე თვითონ არ მოგახსენეთ, რომ „მონის, ყმისა და თანამედროვე პროლეტარის შრომა ერთმანეთს არ ჰგავს და სხვა-და-სხვა ისტორიულ მომენტს წარმოადგენს კაცობრიობის განვითარებისას“ (იხ. ჩვენი წერილი „კვალი“ № 15). ბ. ვ. წ. ეს ხავსი თქვენისთანა „ბუმბერაზ“ მეცნიერს ვერ დაგიკავებსთ და სადღაც კულათ გადაიჩხებით. როცა ლაპარაკი კაპიტალზეა და მის ხანაზე, ექვი არ არის, მხედველობაში დაქირავებული შრომა უნდა ვიქონიოთ. ამნაირი შრომა ხომ, მარქსიც გვეთანხმება, შეიძლება დაუპირდაპიროდ კაპიტალს. მოვიყვანოთ სხვა მოსახრებაც. მუშის ძალა არის ნიჭი, ენერჯია, რომელიც ადამიანის სხეულშია. „მუშის ძალის დახარჯვა არის შრომა, ამბობს მარქსი (Капиталь т. I 130), მუშის ძალა, როგორც ენერჯია, ნიჭი არის მხოლოდ ფიზიოლოგიური მოვლენა, ამ ძალის დანახვა,

ხმარება—შრომა არის სოციალური. ამიტომ თქვენი განცვიფრება: მაგვარი სიტყვები არ დასცდებოდა მარქსსო („ივერია“ 70), სრულიად უსაფუძვლოა, რადგან ეს აზრი მართლა რომ პირდაპირი ლოლიკური დასკვნაა მარქსის ეკონომიურ მოძღვრებიდან. საქონლის წარმოების დროს, შრომა ერთი მხრით აკეთებს სახმარ ღირებულებას მეორე მხრით საცვლელ ღირებულებისას საზოგადოთ, ამაშია მთავარი წინააღმდეგობა. პირველ შემთხვევაში იგი არ არის სოციალური, მეორე შემთხვევაში იგი სოციალურია, რაში გამოიხატება მისი სოციალური ხასიათი? მისი წარმოება კოოპერატიულია, საქონლის წარმოება კაპიტალისტურ წარმოებაში მხოლოთ თანამშრომლობით ხდება, ამიტომ იგი საზოგადოებრივია, საზოგადოებრივი წარმოების ნაწარმოები. ვინ ისაკუთრებს ამ ნაწარმოებს? კერძო პირი. ამნაირი საქონელი, რომელიც წარმოებაში საზოგადოებრივია, ხდება მისსაკუთრებაში კერძო; ამნაირათ იგი ხდება კაპიტალი და უპირდაპირდება მშრომელს, რომელსაც ეს კაპიტალი შეუქნია, ამაშია მისი წინააღმდეგობა, შრომის და კაპიტალის ბრძოლის დასაწყისი აქ არის. ამიტომ მისი დაპირდაპირება თანამედროვე ცხოვრებაში აუცილებელია. როგორ უნდა გათავდეს ეს ბრძოლა? საწარმოვო იარაღი საზოგადო საკუთრება უნდა გახდეს და მით საზოგადოებრივი წარმოების ნაწარმოები ყველა მშრომელისა იქნება ე. ი. საზოგადო. მაშინ შრომა იქნება ნაშრომის გამნაწილებელი, დღეს კი კერძო საკუთრება; ამნაირათ მაშინდელი შრომა და დღევანდელი „კაპიტალისტური“ შრომა სხვა-და-სხვა ყოფილა და ამიტომ კაპიტალის და შრომის დაპირდაპირება ამ აზრითაც შეიძლება. მუშის ძალის მხარჯველი თავის შექმნილი საქონლის დამსაკუთრებელს ებრძვის და არა „ცოცხალი მკვლარს“, აქ არის ბრძოლა ადამიანთა შორის და არა „ადამიანსა და ბუნებას შორის“, როგორც ბ. ვ. წ. გვარწმუნებს. ამნაირი შეხედულება ერთგვარი ფეტიშიზმია, რომელიც საზოგადოთ ადამიანთა ნამდვილი განწყობილების, ურთიერთობის დამფარველია. ეს ის შეხედულებაა, ბ. ვ. წ. რომელიც ნამდვილი წინააღმდეგობის ჩაფუჩჩებებს ლამობს და ბუნებრივ წინააღმდეგობას აწერს იმას, რაც სოციალური ურთიერთობის წარმოშობილია. ამნაირათ წინააღმდეგობა სუფევს ადამიანთა შორის, რომელთაგან ერთი კაპიტალის წარმომადგენელია და მეორე დაქირავებული შრომის, ორი საწინააღმდეგო მცნების დაპირდაპირება შეიძლება, საქირა კიდევ; ამასაც აღვიარებთ, თუ გნებავთ, მოქალაქეობრივი სიმამაცით და,

თქვენც გირჩევთ, რომ ამნაირი სიმამაცე ჩაიღონოთ, თორემ თქვენი „მარქსიზმი“ ვახეთი „ივერიის“ იქნება და არა ნამდვილი „საივერიო“.

დასასრულ თქვენი „რეჩი“ „სიცრუის“ უვარგისობაზე და დიდ მნიშვნელოვან „ქეშმარიტებაზე“ ვისმინე, მხოლოთ ახალი შიგ ვერა ვპოვე რა, გარდა იმასა რომ თქვენ მოკლებული ყოფილხართ „ადამიანურ გულწრფელობას და რიგიანობას, რადგან იმის თქმა, თითქო მე „იმიტომ“ ვიცავნ. ჟორდანის უმეცრებას, რომ იგი ჩემი ბელადია“ შეუძლია მხოლოთ იმისთანა პუბლიცისტს, რომელსაც პირადი წვრილმანი ინტერესები დიდ რწმენათ გამოაქვს და სხვასაც ამნაირ სათვალეზიდან უცქერს? არ მყავს და არც მინდა ვისიმე ბელადობა. დეე, ექვი მხოლოთ თქვენი „გრძნობის“ აზრი იყოს ჩემზე, მე მითაც კმაყოფილი ვარ, რომ ვიცავ რაც მრწამს, ერთი ხელის მოსმით თქვენ „სიყალბეს“ „ქეშმარიტებათ“ ვერ მივიჩნევ და „ივერიის“ მოძღვარს მარქსის მოძღვრების აღმსარებლათ ვერ აღვიარებ; გინდა თუ არ გინდა დამიჯერე და გამოტყდიო, ჩამცივებია ბ. ვ. წ. „ახირებული პრეტენზია“ სწორეთ ამასა ჰქვია.

ა. წულუკიძე.

წერილი რედაქციის მიმართ

„კვალის“ № 29-ში მთავსებული კორესპონდენცია შედეგსწორედსკიდან წავიკითხე. ბ. კორესპონდენტი თუმცა სიმართლეს იწერება, მაგრამ მიუხედავათ ამისა ერთი ალიაქათი გამოიწვია ხსენებულმა კორესპონდენციამ. საქმე იმაში გახლავთ რომ ზოგი ერთ კულ-მომწვარ ვაჟბატონებმა იერაში ჩემზე მოიტანეს, ვითომც მე ვიყო მისი დამწერი, თითას ქვევით შემუქტებინან: „შიცადე სად წავიგვივად, ეგვლგან ლუკმას მოგისწობთო“. შეიძლება როგორც ერთ მოსამსახურეთაგანს, ერთ-ორ ადგილზე დადგომას დამიშაღონ ამ ვითომ და ქართველებმა, ლუკმის მოსწობისა კი რა მოვასხნო ამ ვაჟბატონებს!.. რომ იმ კორესპონდენციის დამწერი მე არა ვარ, უმარჩილესათ გთხოვთ, ქალბატონო რედაქტორო, გამოაცხადოთ თქვენ პატივცემულ გაცხეთ „კვალში“.

თქვენი მორჩილი მოსამსახურე ვ. კ—ძე. იგივე ვარდენ კილაძე.

ვაცხადებ რომ „კვალის“ № 29 დაბეჭდილი კორესპონდენცია შედეგსწორედსკიდან არ ეკუთვნის ვარდენ კილაძეს.

რედ.

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.